ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2648531

ნომერი: AR1412446

თარიღი : 13.06.2016

გაცემის თარიღი : 14.06.2016

გაცნობის თარიღი : 14.06.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ბერი გაბრიელ სალოსის გამზირი N130 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ბაბუნაშვილი პ/ნ 01018001896
- თბილისი მ.ზანდუკელის ქ. N 24

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- კვების ობიექტები
  - რესტორანი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1663.0

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის

საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

#AR1412446 13.06.2016 განაცხადის პასუხად, რომლითაც ითხოვთ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.17.11.029.055 არსებული საზოგადოებრივი კვების ობიექტის რეკონსტრუქციის მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას გაცნობებთ, რომ სამსახურის მიერ წარმოდგენილ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განთავსების მიზნით გაცემულია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები - #615602 03.04.2013 გადაწყვეტილება. აღნიშნული ადმინისტრაციული აქტი ძალაშია გაცემიდან ხუთი წლის მანძილზე, შესაბამისად მიწის ნაკვეთის სხვა ფუნქციით განვითარებისთვის მოთხოვნის ტექსტის დახარვეზებულ ველში უნდა მოითხოვოთ გაცემული დოკუმენტის გაუქმება ან მოთხოვნა დააყენოთ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების ცვლილებაზე ახალი საპრპექტო ობიექტის ფუნქციის დაფიქსირებით. როგორც ცვლილებაზე ასევე გაუქმებაზე მოთხოვნა უნდა დააყენოს ადმინისტრაციული აქტის მფლობელმა (პასუხისმგებლობაზე უფლებამოსილმა პირმა) ან შესაძლებელია წარმოდგენილი იქნეს მესაკუთრის/უფლებამოსილი პირის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა (დედანი) „გამოყენების პირობებში“ ცვლილების განხორციელების თაობაზე. ასევე შესაძლებელია მესაკუთრე/უფლებამოსილი პირი დაფიქსირდეს თანაგანმცხადებლად.
დამატებით გაცნობებთ, რომ საკითხის განსახილველად მოთხოვნის ტექსტში ასევე უნდა დააფიქსიროთ საკადასტრო გეგმაზე რა ნომრით არის აღნიშნული სარეკონსტრუქციო შენობა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის შესაბამისად თქვენ გეძლევათ განაცხადის გამოგზავნიდან 30 დღიანი ვადა საპროექტო დოკუმენტაციის გასაუქმებლად/ცვლილების განსახორციელებლად. თუ განმცხადებლის მიერ დანიშნულ ვადაში არ იქნება განხორციელებული სამსახურის მოთხოვნა, საკითხი დარჩეს განუხილველი.

გაცნობებთ, რომ ახალი განაცხადის წარმოდგენამდე ადმინისტრაციული წარმოების ვადის დინება არის შეჩერებული და განახლდება დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდგომ.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge